


პროექტი: გარემოს მონიტორინგი შავი ზღვის აუზში პროგრამა „კოპერნიკუსის“ დახმარებით
პროექტის აკრონიმი და ნომერი: PONTOS, BSB-889
პროექტის დაწყების თარიღი: 01.07.2020
პროექტის დასრულების თარიღი: 31.12.2022
პროექტის ბიუჯეტი: 999,967.28 ევრო
თანადაფინანსება: ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის (ENI) საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამის (CBC) 2014-2020 წლების შავი ზღვის აუზის გაერთიანებული საოპერაციო პროგრამა.

პროექტის პარტნიორი ორგანიზაციები

1. სომხეთის ამერიკული უნივერსიტეტის აკოპიანის გარემოს ცენტრი, სომხეთი (წამყვანი პარტნიორი) | <http://ace.aua.am/>
2. კვლევებისა და ტექნოლოგიების ცენტრი ელადა, საინფორმაციო ტექნოლოგიების ინსტიტუტი, საბერძნეთი | <https://www.certh.gr/>
3. თრაკიის დემოკრიტუსის უნივერსიტეტი, ეკოლოგიური ინჟინერიისა და ტექნოლოგიების ლაბორატორია, საბერძნეთი | <http://duth.gr/>
4. სომხეთის რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და წიაღის ინსპექცია | <https://www.ecoinspect.am>
5. მწვანე ალტერნატივა | <http://greenalt.org>
6. ოდესის ი.ი. მეჩნიკოვის სახელობის ოდესის უნივერსიტეტი, უკრაინა | <http://onu.edu.ua/en/>



ტბა სევანი, სომხეთის საპილოტე რედაქტორი ფოტო: სევანის ეროვნული პარკი



რედაქტორი: სომხეთის ამერიკული უნივერსიტეტის აკოპიანის გარემოს ცენტრი
ელ-ფოსტა: pontos@aua.am
ვებ-გვერდი: pontos-eu.aua.am



საერთო საზღვრები. საერთო მიდგომები.



2014-2020 წლების შავი ზღვის აუზის გაერთიანებული საოპერაციო პროგრამა გარემოს მონიტორინგი შავი ზღვის აუზში პროგრამა „კოპერნიკუსის“ დახმარებით - PONTOS დეკემბერი 2020

2014-2020 წლების შავი ზღვის აუზის გაერთიანებული საოპერაციო პროგრამა თანადაფინანსებულია ევროკავშირის მეორე უფრობის სამეზობლო ინსტრუმენტის მეშვეობით და მასში მონაწილეობენ შემდეგი ქვეყნები: სომხეთი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, რესპუბლიკა მოლდოვა, რუმინეთი, თურქეთი და უკრაინა.

ეს პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის ფინანსური დახმარებით. ამ პუბლიკაციის მინაარსზე პასუხისმგებელია პროექტი გარემოს მონიტორინგი შავი ზღვის აუზში პროგრამა „კოპერნიკუსის“ დახმარებით - PONTOS და არ უნდა იყოს განხილული, როგორც ევროკავშირის თვალსაზრისით.

PONTOS

გარემოს მონიტორინგი შავი ზღვის აუზში პროგრამა „კოპერნიკუსის“ დახმარებით
pontos-eu.aua.am

პროექტ PONTOS-ის შესახებ

პროექტ PONTOS-ის მიზანია ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გაძლიერება გარემოს მასშტაბური და ჰარმონიზებული მონიტორინგისათვის შავი ზღვის რეგიონში და მის გარეთ. ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებული იქნება პროგრამა „კოპერნიკუსის“ უფასოდ ხელმისაწვდომი და სანდო მონაცემები და სერვისები, მაგალითად, კოპერნიკუსის მიწისა და ზღვის გარემოს მონიტორინგის სერვისები.

კოპერნიკუსი არის ევროკავშირის დედამიწის მონიტორინგის სისტემა. ის გთავაზობს საინფორმაციო სერვისებს, რომლებიც შექმნილია დედამიწაზე სადამკვირვებლო სატელიტებიდან და ადგილებიდან მიღებული (in situ) მონაცემების საფუძველზე (nb. <https://www.copernicus.eu/en>).



კოლხეთის დაბლობი, საქართველოს საპილოტე რეგიონი. ფოტო: ზურა ჯავახიშვილი

პროექტის ფარგლებში შემუშავდება PONTOS-ის ოპერაციული პლატფორმა, რომელიც კოსმოსური თანამგზავრების მეშვეობით მიღებულ გამოსახულებებსა და რუკებს შეუხამებს in situ მონაცემებს. PONTOS-ის მეშვეობით, ახალი სერვისები და პროდუქტები ყველა დაინტერესებული მხარისთვის იქნება თავისუფლად ხელმისაწვდომი. საბერძნეთის, საქართველოს, სომხეთის და უკრაინის საპილოტე რეგიონებში მიმდინარე გარემოზე ზემოქმედების მქონე საქმიანობები დატანილი იქნება რუკებზე. აქცენტი გაკეთდება ისეთ სფეროებზე, როგორებიცაა ინდუსტრია, რეკრეაცია, სოფლის

მეურნეობა, აკვაკულტურა და სხვ. შესწავლილი იქნება ამ საქმიანობებით გამოწვეული შავი ზღვისა და ტბების დაბინძურების მარვენებები. ამავდროულად, კოსმოსური სატელიტებისა და სავსე კვლევების მეშვეობით მიღებული მონაცემების საფუძველზე, მოხდება ზღვის ისეთი მახასიათებლების ცვლილებების მონიტორინგი, როგორებიცაა ზედაპირული წყლის ტემპერატურა, მარილიანობა, ორგანული ნივთიერებები, პოტენციურად ტოქსიკური ელემენტები და წყალმცენარეების არსებობა. ასევე, იწარმოებს ტყის საფარის ცვლილებისა და სანაპიროს ეროზიის მონიტორინგი.

პროექტი მიზნად ისახავს ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლების რეგულარულად განახლებადი ინფორმაციის მიღებისათვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვას.



მდინარე ნესტოსის დელტის პანორამული ხედი, საბერძნეთის საპილოტე რეგიონი. ფოტო: Artware

პროექტის საპილოტე არეალები

1. სომხეთი: ტბა სევანი და მისი წყალშემკრები
2. საქართველო: შავი ზღვის სანაპირო ზოლი და კოლხეთის დაბლობი.
3. საბერძნეთი: მდინარე ნესტოსი, მისი დელტა და მიმდებარე სანაპირო ზოლი
4. უკრაინა: პლაჟები და სარეკრეაციო არეალები ქალაქ ოდესიდან დუნაის დელტამდე, მდინარე დნესტრის დელტა და მიმდებარე ლიმანი

მოსალოდნელი შედეგები

1. შავი ზღვის რეგიონში გარემოს ეფექტური მონიტორინგის წარმოება ონლაინ სერვისების გამოყენებით. ის დაეფუძნება საინფორმაციო ტექნოლოგიების პროგრამებს, რომლებიც იყენებენ კოპერნიკუსის მონაცემებს, დისტანციური ზონდირებით და ადგილებიდან მოპოვებულ ინფორმაციას.
2. ტრანსსასაზღვრო გარემოს მონიტორინგის მონაცემების დროულობისა და ხელმისაწვდომობის ზრდა.
3. შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებში შესაძლებლობების გაძლიერება საგანგებოდ შემუშავებული სასწავლო მასალების და ახალგაზრდა მკვლევარების, პრაქტიკოსებისა და



მდინარე დნესტრი, სოფელ ტროიციკოს მიმდებარე ლანდშაფტი, უკრაინის საპილოტე რეგიონი: EU-TACIS ქვემო დნესტრის პროექტი

საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლებზე მიმართული სპეციალური სწავლების მეშვეობით.

4. ტრანსდისციპლინურ საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო გუნდის ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს მონაცემების ურთიერთგაცვლას PONTOS-ის ფარგლებში მომზადებული მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტების მეშვეობით.
5. ადგილობრივ და ეროვნულ კონტექსტში მდგრად განვითარებაზე წყლის ხარისხის დეგრადაციის ზეგავლენის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება.